ევროკავშირის საბჭოს <u>დასკვნა</u> **საქართველოში შექმნილი სიტუაციის შესახებ**

საერთო საქმეთა და საგარეო ურთიერთობათა საბჭოს საგანგებო სესია

ბრიუსელი, **2008 წლის 13 აგვისტო**

საბჭომ **მიიღო შემდეგი დასკვნა**:

„1. საბჭო კვლავაც ადასტურებს, რომ ევროკავშირმა გამოხატა უკიდურესი შეშფოთება საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებისა და იმ ღია კონფლიქტის გამო, რომელმაც საქართველოსა და რუსეთს შორის იფეთქა. ამგვარი სამხედრო აქციები არ წარმოადგენს პრობლემიდან გამოსავალს. ომის შედეგად დაიღუპა მრავალი ადამიანი, მოსახლეობას მიადგა ტანჯვა და საგრძნობი მატერიალური ზარალი, კიდევ უფრო გაიზარდა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა.

საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი და მდგრადი გადაწყვეტა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების სრულ პატივისცემას, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო სამართლითა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით.

3. ამ კონტექსტში, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ტანჯვის შეჩერება და ბრძოლების შეწყვეტა. ამ კუთხით, საბჭო მიესალმება შეთანხმებას, რომელზეც გუშინ ხელი მოაწერეს მხარეებმა ევროკავშირის შუამავლობის დროს გამოვლენილი ძალისხმევის შედეგად.

მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ პრინციპებზე:

(1) ძალის გამოუყენებლობა;

(2) საბრძოლო მოქმედებების საბოლოოდ შეწყვეტა;

(3) ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალი ხელმისაწვდომობა;

(4) საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაუბრუნდეს ქვეყანაში მისი დისლოკაციის ადგილებს;

(5) რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაუბრუნდნენ საბრძოლო მოქმედებებამდე არსებულ განლაგების ადგილებს. საერთაშორისო მექანიზმის შემუშავებამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დამატებით ღონისძიებებს;

(6) დაიწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფორმებზე საერთაშორისო დებატები.

საბჭო მოუწოდებს მხარეებს, პატივი სცენ ამ ვალდებულებათა ერთობლიობას, დაწყებული ცეცხლის რეალური შეწყვეტითა და მისი რეალური ამოქმედების უზრუნველყოფით და კეთილი ნების გამოჩენით, როგორც კონფლიქტის არეალში, ისე მის გარეთ. სასწრაფოდ უნდა შეიქმნას საერთაშორისო მექანიზმი.

3. საბჭო ხაზს უსვამს ევროკავშირის ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ამ პრინციპების ეფექტურ ამოქმედებას. ეს პრინციპები რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნეს ასახული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადგილზე ეუთოს სადამკვირვებლო საშუალებების გაძლიერებას. ამ მიმართულებით ევროკავშირი იმუშავებს ეუთოსთან. საბჭო დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს, არ შეუქმნან დაბრკოლებები დამკვირვებლების საქმიანობას.

საბჭო ასევე მიიჩნევს, რომ ევროკავშირი მზად უნდა იყოს მოქმედებისათვის, მათ შორის ადგილზე, რათა მხარი დაუჭიროს გაეროსა და ეუთოს ყველა ძალისხმევას საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი და მდგრადი გადაწყვეტის მიზნით. იგი მოუწოდებს გენერალურ მდივანს/უმაღლეს წარმომადგენელს ევროკომისიასთან თანამშრომლობით, აღნიშნულ საკითხზე მოამზადონ წინადადებები 5-6 სექტემბრისათვის დაგეგმილი ავინიონის არაფორმალური შეკრებისათვის.

4. საბჭო ხაზს უსვამს ჰუმანიტარულ დახმარების აუცილებლობას და ევროკავშირის მზადყოფნას მიაწოდონ გადაუდებელი დახმარება მოსახლეობას. აქცენტი გაკეთდა პირველ ნებაყოფილობით ღონისძიებებზე, რომლებიც გატარდა ერთდროულად ევროკომისიის და წევრი ქვეყნების მიერ. საბჭო მოუწოდებს ევროკომისიას, საბჭოს თავმჯდომარეობასთან ერთად, გააგრძელოს

ევროპული დახმარების კოორდინაციის უზრუნველყოფა და ხელი შეუწყოს თანაზიარობას ფორმულების ჩამოყალიბებას ამ დახმარების ეფექტურობისა და შესაბამისობის გაზრდის მიზნით.

არსებითია, რომ ყველა მხარემ პატივი უნდა სცეს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს და ხელი უნდა შეუწყოს, დისკრიმინაციის გარეშე, ყველა დაზარალებული მოსახლისათვის ჰუმანიტარული დახმარების შეუფერხელ მიწოდებას.

გარდა ამისა, მხედველობაში იღებს რა იმ ნგრევას, რაც კონფლიქტს მოჰყვა, საბჭო ხაზს უსვამს იმის აუცილებლობას, რომ აქედანვე მოხდეს რეკონსტრუქციისათვის აუცილებელი საშუალებების იდენტიფიცირება და თავად საბჭო მოემზადოს ევროკავშირის დონეზე ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილის შესატანად. იგი მოუწოდებს ევროკომისიას, მოამზადოს ანგარიში ამ თემაზე მომდევნო სხდომისათვის.

（www.europa.eu）